ლიდერი მასწავლებლის ანგარიში

მელნო ზოიძე

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის ხელშესაწყობად ჩვენმა სკოლაში საგნობრივი კათედრების მიხედვით შეირჩა სიტუაციური ლიდერები, წილად მხვდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის ლიდერ მასწავლებლობა.

კოლეგებთან დიალოგის შედეგად გამოვლინდა გარკვეული პრობლემები თემატურ და კომპლექსურ დავალებების დანერგვასთან დაკავშირებით, როგორიცაა **კომპლექსური დავალებების დაგეგმვა, ძირითადი დავალებების შესრულების ინსტრუქციების გაცემა და შეფასების თანმიმდევრულად განხორციელება.** მასწავლებელთა ნაწილს ეტაპებად კი ქონდა გამოყოფილი დავალება, თუმცა მოსწავლეების ნაწილმა ვერ გაითვალისწინა და ნაბიჯ-ნაბიჯ ეტაპების მიხედვით კი არ შეასრულა დავალება, არამედ დავალების შესრულება შეიძლება ასე ითქვას ბოლო ეტაპიდან დაიწყო, რამაც მოგვცა ის შედეგი, რომ მოსწავლე ვერ ქმნის იმ პროდუქტს, რაც მიზნად დავისახეთ დავალების დაგეგმვისას.

ერთ-ერთ პრობლემად გამოვლინდა მასწავლებელი მიუთითებს რა უნდა გააკეთოს მოსწავლემ, თუმცა მითითება არ აღმოჩდა საკმარისი, რომ მოსწავლემ დაიმახსოვროს და ისე შეასრულოს დავალება, განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა იმ მოსწავლისთვის , რომელიც აკადემიურად არ გამოირჩევიან, ვერ ხვდება რა როგორ გააკეთოს და შემდეგ მოსწავლე ან ვერ აკეთებს დავალებას ან არასწორად აკეთებს. თავდაპირველად მასწავლებლებს ჰქონდათ შედგენილი გარკვეული შეფასების რუბრიკები, თუ რა გაეთვალისწინებინა დავალების შესრულებისას, რუბრიკები ზოგადი იყო, შესრულებული დავალების კომენტარებით შეფასება ძალიან რთული აღმოჩდა, მოსწავლემ ვერ გაიგო რატომ შეაფასა მასწავლებელმა ასე.

პრობლემები გამომდინარე, **განვიხილეთ კათედრაზე და დაძლევისათვის კათედრის წევრებთან, ხარისხის კოორდინატორთან ერთად შევიმუშავეთ სხვადასხვა ვარიანტი.** დავსახეთ ეტაპობრივად მიმდინარე დავალებების შეფასებებისათვის შესაბამისი ინსტრუქციების და რუბრიკების შემუშავება, გაწერა და მოსწავლეებისათვის მიწოდება. შევარჩიეთ ვარიანტი, რომელიც მე შევთავაზე,

გავაცანი პროცედურა , მოსწავლე დავალებაზე მუშაობის პროცესში ხელმძღვანელობს ამ ინსტრუქციებისა და რუბრიკაში გაწერილი კრიტერიუმების შესაბამისად, კონკრეტულად რა როგორ უნდა გააკეთოს მოსწავლემ და მივანიჭეთ ქულები, როგორ შესრულებულ დავალებაში რა ქულას მიიღებს. ასეთი შეფასების რუბრიკა მოსწავლისთვის აღმოჩდა ფაქტიურად ინსტრუმენტი დავალების შესრულების დროს , რომელიც თან უდევს წინ მიყვება, ინსტრუქციას და ასრულებს დავალებას. ასე შესრულებული დავალებისას ფაქტიურად მოსწავლემ იცის რა როგორ გააკეთა და როგორ შეფასებას მიიღებს. მოსწავლეებთან ინტერვიუთი გაირკვა, რომ მათთვის დავალების შესრულება იოლი აღმოჩნდა და თან საინტერესო იყო და მოტივირებულად იყვნენ ჩართული ამ პროცესში. აქედან გამომდინარე მასწავლებელის შეფასებაც ვალიდური და გამჭვირვალე აღმოჩნდა.

კოლეგებმა გაიზიარეს ჩემ მიერ შექმნილი კომპლექსური დავალება, გავაცანი როგორ მქონდა გაწერილი დროში ნაბიჯ-ნაბიჯ შესასრულებელი დავალება და ყველა ეტაპის შეფასების რუბრიკები. გავაანალიზეთ ის ნაკლოვანებებიც, რაც ახლდა ჩემს მიერ შესრულებულ კომპლექსურ დავალებებს. **ერთ-ერთ ხარვეზად დასახელდა შეფასების რუბრიკაში ერთ-ერთი კრიტერიუმი,** კერძოდ ,ყველა მოსწავლეს უნდა შეექმნა რუკა ნახატის სახით, მოსწავლეების ნაწილს გაუჭირდა ნახატის შექმნა. შემდეგ დავალებებში შეფასების რუბრიკაში შევიტან კრიტერიუმს სადაც მივანიჭებ თავისუფლებას მოსწავლეს არჩევანისთვის დავალების შესრულების დროს .

ვფიქრობ, თანამშრომლობით შევძელი დავხმარებოდი კოლეგებს და შემდეგ მხარი დამეჭირა მათ მიერ თავის მოსწავლეებზე მორგებული კომპლექსური დავალებების შემუშავებასა და გამოყენებაზე.

II- სემესტრში განვაგრძობ მუშაობას კომპლექსური დავალებების წარმატებით გამოყენებისათვის, ვაპირებ ვითანამშრომლო სხვა საგნის კათედრის ლიდერებთან.

მ. ზოიძე

2021წ. დეკემბერი